# სახალხო გაზეთი

№ 673 კვირა, 12 აგვისტო, 1912 წ. № 673

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონ- № 12-29

**გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.**
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ. **სახ. გაზ. კანტორა.**



## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

**მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**
**1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.**
**თვეში ღირს — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და იმიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


**ეკატერინე დიმიტრის ასული ფურცელაძისა, ვლადიმირ არჩილის ძე სალარიძე და ქეთევანი ქაიხოსროს ასული ფურცელაძე** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს გარდაცვალებას ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ პირველი შვილისას, მეორე—მეუღლისას და მესამე—დისას.

## ელენე ქაიხოსროს ასულის სალარიძისას.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ ორშაბათს 13 აგვისტოს დილის 10 საათზე, საკუთარ სახლიდან ბაგრატიონის ქუჩაზე № 17 ანჩისხატის ეკლესიაში; დასაფლავება პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (2—26—2)

**მიხაილ ალექსანდრეს ძე მოლოდინოვი, ნინა ალექსანდრეს ასული და იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა უსაყვარლესი და მარადის დაუვიწყარი დედა, ხოლო მესამისა—სიდედრი

## დარია ივანეს ასული მოლოდინოვისა.

პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 12-ს აგვისტოს, დილის ცხრა საათზე ანჩისხატის საკრებულო ტაძარში დაკრძალვა პეტრეპავლეს სასაფლაოზე. ანჩისხატის ქუჩა, საკუთარი სახლი № 20. (1.608.1)

მწუხარებით გულმოკლულნი: ქვრივი **ეკატერინე დავითის ასული ლომიძისა, ილია და ნიკოლოზ ლომიძენი** და **ელისაბედ ყიფიანისა,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 9 აგვისტოს გარდაიცვალა პირველისა დაუვიწყარი ქმარი და მეორეთა—მამა

## აზნაური რამაზ ივანეს ძე ლომიძე.

დასაფლავება მოხდება კვირას, 12 აგვისტოს **სოფ. ურიათუბანში.** (2—1439—2)

ცამეტს მარიამობისთვესა გარდაცვალებიდან მეცხრე დღესა გარდახდილ იქმნება წირვა ტფილისის კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში და პანაშვიდი საფლავზე თერთმეტს საათზე გარდაცვალებულის

## ეკატერინე დიმიტრის ასულის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ქმარი **დეკანოზი ლაზარე ტურიევი** და **მისი შვილები.** (1—607—1)


## აგენტი მ. ა. გაჩეჩილაძე

## მ. ა. გაყონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

**ადრესი:** 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი", ტელეფ. 3—80.
(10·1436.2) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.


## დიდუბეში



კვირას, 12-ს მარიამობისთვეს გაიმართება დიდი საინტერესო **კავკასიური ჭიდაობა.** დღეს იჭიდავებს 15 წყვილი, რადგანაც **კანდელაკიშვილს** ვერავინ ვერ გალახა, დირექციამ მოიწვია სოჩიდან ესებოას. გან **გიორგი ჯიბგირი,** რომ დასჭიდოს კანდელაკიშვილს. I წყვ. კანდელაკიშვილი და გიორგი ჯიბგირი. 2 წყვ. 3. ცალქალამანიძე და პაპიაშვილი. 3 წყვ. დოთიაშვილი და არჩილა. ნათლუხელი 4 წყვ. ალოშა ზაალიშვილი და ბუზარიაშვილი, 5 წყვ. სუქნიშვილი და ნორიელი ციგა 6 წყ. ქიზიყელი-გაგნიძე, 7 თიგიშვილი და მარკოზაშვილი.

გარდა ამისა იჭიდავებენ კიდევ რამდენიმე წყვილი. დასაწყისი სწორედ საღ 5 საათ. 1—606—1.

**თელავის სავაჟო პროგიმნაზიაში დამატებითი**

## გამოცდა

მოხდება 24 და 25 მარიამობისთვეს; მისაღები გამოცდა კი როგორც ახლად გახსნილ მესამე კლასში, ისე სხვა კლასებშიაც—27 და 28 მარიამობისთვის არის დანიშნული. გამოცდა დაიწყობა დილით ცხრა საათის ნახევარზე. თხოვნები მიიღება პროგიმნაზიის კანცელიარიაში ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. პარაკლისი გარდახდილ იქნება და მეცადინეობა დაიწყობა პირველ ენკენისთვეს, დილის ცხრის ნახევარზე (1. 1440. 1.)

**ტფილისის სათავად-აზნაურო**

## სასწავლებლის გამგე

აცხადებს, რომ მისაღები და გადასასვლელი გამოცდა დაიწყება 25 მარიამობისთვეს.

**თავისუფალი ადგილებია:**
1, 2 და 3 განყოფილებაში და აგრეთვე 1 და 2 კლასში. (5.1441.1)

## ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას",

**მიღება და ჩაწერვა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.**
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29.
სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11.
მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.
**ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.**
(12.1435.3) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან. თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან.**
**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.

**მზარეულიშვილი შ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.91)

## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა
დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში მარიამობისთვის 20,
„ 1 და 2 „ „ 23,
„ მოსამზადებელ განყოფილებებში „ 25,
მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში „ 25.
სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის 1911/12 წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. სხვა გიმნაზიებიდან გადმოსვლის მსურველნიც მოვალენი არიან დაიჭირონ ეგზამენები ყველა საგნებში. **გიმნაზიის კანცელარია ღია იქნება** ოთხშაბათობით დილის 10—1 საათამდე. (3.1374.1)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება პროფ. ალ. ხახანაშვილის შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ქართ. სიტყვიერების ისტორია . . . . . . 1—25 კ. | О Сванескихъ рукописяхъ и надписяхъ . . . . . 60 „ |
| ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 „ | Правила VI Вселенск. собора 1 მ. |
| იმერეთის მეფე სოლომონ II . 25 „ | Трапезундская хроника . . . 1 „ |
| Матеріалы по груз. агіологій . 80 „ | Очерки по груз. культурѣ . 30 კ. |
| Багратъ, Еписк. Тавроменійск. 1 მ. | О вступленіи на престолъ Императрицы Екатерины II . 25 „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи 60 კ. | Политич. и культ. состояніе Грузіи съ XIII п XVIII в. . 50 „ |
| Грузинск. дворянск. акты . . 60 „ | Аѳонскій списокъ 978 г. грузинской библіи . . . . . 40 „ |
| Месхи (этногр. очеркъ) . 60 „ | Къ матеріал по драмат литературѣ XVIII в. . . . . 20 „ |
| Жизнь и дѣятельность Каталикоса грузіи Антонія I . 50 „ | Бальварь и Іодасафь, грузин. текстъ по рук. XI—XII в. . 60 „ |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны . . . . . . 60 „ | |

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.9 8).

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 364)

## ვიღებ მოწაფე ქალებს

წლოვანთ და მცირე წლოვანთ, ვასწავლი ყველა ხელსაქმეს სამაგალითოდ ვამზადებ სამ თვეში.

მისამართი: მიხეილის ქუჩა № 120, იკითხეთ **ცხვარაძესთან.** მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს., საღამოთი 4 საათზე. (3.602.1)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.
**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
**მირაგოვი**—ბავშვ., შინაგან.—ყ. დღ. 1-2 ს. გარდა კვირ.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 19)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გამაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. ქოიავა** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

## წამლობა ,,606''-

(წლ—1018—52.

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—62)

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9.

(25.595.3)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.176)

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 (დიდუბე). (თ.—1049—117)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი** ქალი კბილისა **ნინო რცხილაძე**
20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში**. 3—9 საათამდე.

**ექიმი** **ვ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალის ავადმყოფ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ. სვანიშვილისა.

**ექიმი** აბასთუმანში **ე. ი. მინასიანცი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.223)

**ექიმი** კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—41)

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

**ექიმი** **ს. ი. გძელიშვილი**
შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—26)

**ექიმი** **ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (85 1178 82)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** ტფილისში ჩამოვა დღეს, საღამოს 9 საათსა და 46 წ.

✦ **მატინოვის პაიები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მატინოვისაგან ხაანდერძევ თანხიდან 20 პაი გაყიდოს, თვითეული არა ნაკლებ 2,400 მანეთისა. პაიებს ჰყიდულობს მირზოევისა და სხვათა ნავთის მრეწველი ამხანაგობა.

✦ **უმაღლესი სასწავლებელი კავკასიაში.** ამ დღეებში მინისტრთა საბჭო განიხილავს კავკასიის ნამესტნიკის წინადადებას ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ. მინისტრთა უმრავლესობა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, წინააღმდეგი ყოფილა კავკასიაში უმაღლეს სასწავლებლის დაარსებისა.

✦ **საბავშვო დილა და სტუდენტთა საღამო.** დღეს, 12 აგვისტოს, „სპორტი“-ს ბაღში (მიხეილის პრ.) საბავშვო დილა და სტუდენტთა საღამო გაიმართება. დილა დაიწყება შუადღისას, 12 საათზე, ხოლო საღამო—საღამოს 8 საათზე. პროგრამა საინტერესოდ არის შედგენილი. მთელი შემოსავალი გადაიდება კიევის უნივერსიტეტთან არსებულ კავკასიის სათვისტომოს ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ.

✦ **ლიტანია.** 29 და 30 აგვისტოს, წირვის შემდეგ, შემოსილი სამღვდელოება ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიიდან წმ. ანტონის მონასტერში ლიტანიით გაემგზავრება.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** პროექტის განხილვა ქალაქის გამგეობამ სრულიად დაამთავრა.

✦ **ახალი ჟურნალი.** გუბერნატორმა ნება დართო ლეონიდ გიბაშვილს, ტფილისში გამოსცეს ყოველ-კვირეული ქართული ჟურნალი სახელად „კლდე“.

✦ **ახალი საუღელტეხილო გზა.** ტფილისში ჩამოვიდა წარმომადგენელი „კავკასიის უმთავრეს რკინის გზის საზოგადოებისა“. ამ ახალ საზოგადოებას აზრად აქვს, არხოტის უღელტეხილზე რკინის გზა გაიყვანოს მთავრობის მიერ განზრახულ რკინის გზის სისწვრივ. საზოგადოებას ბედ უკვე 50,000 მან. შეუტანია.

✦ კავკასიის ნამესტნიკს მრავალი თხოვნები მისდის კავკასიიდან ადმინისტრატიული წესით **გადასახლებულებისაგან,** რომელთაც უკიდურესი გაჭირვება იძულებულ-ჰყოფს სასჯელის ვადის დასრულებამდე ითხოვონ უკანვე სამშობლოში დაბრუნება. ამ დღეებში კავკასიის ნამესტნიკის საგანგებო განყოფილების საბჭომ ოცამდე თხოვნა განიხილა გადასახლებულებისა. როგორც შევიტყეთ, მთხოვნელთა უმრავლესობა სასჯელისაგან გაუნთავისუფლებიათ.

✦ **ნ. პ. ქოქჩაევი,** რომელმაც ქალაქის გამგეობის წევრობას ამას წინად თავი დაანება ავადმყოფობისა გამო, ამ დღეებში ჭკუაზე შეირყა. ერთხელ რევოლვერით თავის მოკვლას აპირებდა, მეორედ კი—სახლის აივნიდან გადავარდნას. იგი მიხეილის საავადმყოფოს საფსიხიატრო განყოფილებაში დააწვინეს.

✦ **სამამულიშვილო ომის** იუბილეს აღსანიშნავად 26 აგვისტოს საზინო თეატრში სადღესასწაულო აქტი გაიმართება ტფ. საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთათვის, სამოსწავლო წლის დაწყებისას კი ყველა სასწავლებელში სალიტერატურო დილები გაიმართება.

✦ გზათა მინისტრის ს. ვ. რუხლოვის ჩამოსვლა ტფილისში ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. მინისტრი სოჩიდან კავკავისკენ წასულა იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც მატარებელი დაიღუპა.

✦ **ექსკურსია.** ბუნების მოყვარულთა ტფ. საზოგადოების წევრნი გუშინ ბორჯომს გაემგზავრნენ, საიდანაც წავლენ „ლომის მთის“ დასათვალიერებლად.

✦ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიის მდივნად ნ. ვ. კუშნირი აირჩიეს.

✦ ქალაქის ლომბარდში ივლისის განმავლობაში 25,793 მან. ნივთი დაუგირავებიათ. გამოუსყიდნიათ 22,226 მანეთისა.

✦ გაზეთ „დროების“ თანამშრომლად ნამყოფ ქაიხოსრო ქავთარაძეს, რომელსაც 5 წლით ჰქონდა გადაწყვეტილი ადმინისტრატიული წესით კავკასიიდან გაძევება და რომელიც 1910 წლიდან დონის როსტოვში იმყოფებოდა, კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიაში ცხოვრებისა.

✦ **ნაძალადევში,** აფანასიევის ქუჩაზე № 14 სცხოვრობს თურმე, ერთი **მკითხავი,** რომელსაც უთვალავი აგენტები ჰყავს და ურცხვად ატყუებს უბირ ხალხს. საჭიროა ყურადღება მიექცეს.

✦ ამ რამდენიმე დღის წინად პოლიციამ დააპატიმრა პეტერბურგის უნივერსიტეტის **სტუდენტი იოს. გოგოლაშვილი.**

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მებამბეთა მომავალ კრების გამო.** 10 აგვისტოს ნამესტნიკის თანაშემწის სენატორ ვატაცის თავმჯდომარეობით მებამბეობის მცოდნე აგრონომებისა და კავკასიისა, ქართულისა და სომხურ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლების თათბირი მოხდა. განხილულ იქმნა საკითხი, რომელსაც კავშირი აქვს მებამბეთა მომავალ კრებასთან. თათბირმა დაადგინა, სთხოვოს სამეურნეო საზოგადოებებს, რათა მათ მომავალ კრების შესახებ ცნობები ყველგან გაავრცელონ და კრებაზე კერძო პირნი—მებამბენიც მოიწვიონ. ასეთივე თათბირი 17 აგვისტოს მოხდება.

— 16 აგვისტოს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება მოხდება იმ საკითხების განსახილველად, რომელსაც კავშირი აქვს მებამბეთა მომავალ კრებასთან.

✦ სახალხო სამუსიკო საზოგადოების გამგეობის კრება 10 აგვისტოს მოხდა. გამგეობამ დაადგინა, მოკლე ხანში სეირნობა გამართოს საზოგადოების სასარგებლოდ. ამავე კრებაზე გამგეობამ შეიმუშავა სამამულიშვილო ომის დღესასწაულის პროგრამა. დღესასწაულს სექტემბრის შუა რიცხვებში გამართავს.

## სასწავლებლებში.

✦ **შუამდგომლობა.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა აღძრა, რათა ხაზინიდან 107,000 მან. გადაიდოს ქუთაისის საქალებო გიმნაზიისთვის საკუთარ შენობის ასაგებად.

✦ ავლაბრის საქალებო გიმნაზიაში შესვლის მსურველი ბევრი აღმოჩნდა არიან ისეთნიც, რომელთაც მეორე კლასში შესვლა უნდათ, რის გამოც საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, მეორე კლასიც გახსნას პირველ სექტემბრიდან.

## ქუთაისი

✦ ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებასთან ახლო მდგომმა პირმა გადმოგვცა სარწმუნოთ, რომ წელს ამ საზოგადოების გამგეობას დასი არ ეყოლება. მიზეზად ის მოიხსენია, რომ მეორე ხარისხოვან მსახიობთაც ზედმეტი ჯამაგირი მოითხოვესო წარსულ სეზონებთან შედარებით და გამგეობის სალარო ვერ გაუწევდება ამდენ ხარჯსო.

✦ ქუთაისში ჩამოვიდა ინჟინერი თავ. ი. დადიანი, რომელსაც ქალაქის თვითმართველობასთან წყალსადენის შესახებ ჰოლაპარაკება აქვს.

✦ ქუთაისში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთელი კომპანიის წარმომადგენელნი ოდიშში **თავ. დადიანების ტყის** (კურზუს მთა) **საყიდლად.** ისინი უკვე გაემგზავრნენ ტყის დასათვალიერებლად.

✦ 12 ამ თვიდან ქუთაისში მთელი გუბერნიის **მეითლების კრება** მოხდება.

✦ ამ დღეებში ქუთაისში ჩამოვიდა ან. ხარაზიშვილი და კინემატოგრაფიული ლენტების მკეთებელი ფირმის “შტანდარტის“ წარმომადგენელი; ამათ გადმოუღლიათ სამხედრო ოსეთის გზა, რაჭა და გადუღიათ აუარებელი სურათი. ამ ჟამად გაემგზავრნენ ტყიბულისაკენ სურათების გადასაღებად; გადაიღებენ ქუთაისსა და მის მიდამოს, შემდეგ ამავე მიზნით წავლენ ჭიათურას.

ფირმის წარმომადგენელი აღტაცებულია იმ სურათებით, რაც უნახავს ოსებისა და რაჭის გზებზე და ქუთაისის სანახავებით. ამათვე განუძრახავთ რამდენიმე ქართული პიესებიც დაასურათონ. („კოლხ.“)

## გორი

✦ 8 აგვისტოს, საღამოს შვიდ საათზე, გორის თვითმართველობის დარბაზში გაიმართა კერძო თათბირი ქალაქის ხმოსანთა, წარმომადგენელთა და საქმის მცოდნეთა გორში წყლის გამოყვანის გამართვის თაობაზე. ერთნი ამბობდნენ, რომ შესდგეს საქციონერო საზოგადოება გორელთაგან და ამ საზოგადოებამ იკისროს წყალსადენის გაკეთებაო. მეორენი კი ამბობდნენ, ეს საქმე უნდა დაიწყოს თვით ქალაქმა და წინასწარ გამოკვლევის შემდეგ, შეუერთდეს, როგორც მონაწილე, ადგილობრივ საქციონერო საზოგადოებასაო. აირჩიეს კომისია, რომელიც უნდა შეეკითხოს მცხოვრებლებს: ჰსურთ თუ არა წყლის გამოყვანა გორში და საქციონერო საზოგადოების წევრად ჩაწერვა.

— კვირას, 5 მარიამობისთვეს, სომეხთა მღვთისმშობლის ეკლესიაში დანიშნული იყო კრება გორის სომეხთა სამრევლო სკოლის მეთვალყურეთა ორ მზრუნველის ასარჩევად. კრებას თავმჯდომარეობდა მასწავლებელი გ. ბაბალოვი, რომელმაც, არჩევნების დაწყებამდე განუმარტა დამსწრე საზოგადოებას: რა მოვალეობაც აწევთ საზოგადოდ სასწავლებლის მზრუნველთ, და სთხოვა აირჩიონ შრომისმოყვარე, შევნებულნი და კეთილ-სინდისიერნი პირნი. დაასახელეს რამდენიმე კაცი. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ: მღვდელი ტერ-სააკ ტერ-მინასოვი და ნაფიცი ვექილის თანაშემწე კონსტანტინე მიხეილის ძე დონდაროვი. („ქართლი“).

## სურამი

✦ **დ. სურამი.** ორშაბათს, 13 მარიამობისთვეს, დ. სურამში საზოგადო საკრებულოში კოკი აბაშიძე წაიკითხავს ლექციას: „რა გავლენა იქონია თანამედროვე რუსულმა ლიტერატურამ თანამედროვე ქართულს ლიტერატურაზე“. ადგილების ფასი მანეთიდან აბაზამდე. დასაწყისი რვა საათზე.

# ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

სულითა და გულით ვგლოვობ და მისტირი ჩვენის ქვეყნის მოჭირნახულეთა გუნდის თვალსაჩინო წევრის და სახელოვან მამულიშვილის **ალექსანდრე ხახანაშვილის** უდროოდ გარდაცვალებას. გულის სიწრფელით მივუსამძიმრებ განსვენებულის მგლოვიარე ჭირისუფლებს.
ქ. ბრიუსელი. **თ. სახოკია.**

**ს. წაქვა** (ხეფინისხევი). განსვენებულ ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ.
**სიმონ ხარაძე.**

**ს. ზემო ხვედურეთი.** კვირას, 5 აგვისტოს, ხახანაშვილის დასაფლავების დღეს ს. ზემო ხვედურეთში ადგილობრივი მღვდლისა და მასწავლებლის თაოსნობით გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად ხალხი საკმაოდ დაესწრო.

ქართულ გიმნაზიის მოწაფემ ვახტანგ დეკანოზიშვილმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

# აკაკის მოგზაურობა

შემდეგი.

### წერილი მეხუთე.

შესრულდა ექვსი საათი და გავედით სადმელის საზოგადოებიდან „ვაშას“ და „ურას“ ყვირილით; ტაშის ცემას და რევოლვერების სროლას საზღვარი არა ჰქონდა; მალე დავუპირდაპირდით ბუგეულის საზოგადოებას; დიდი და პატარა გამორბოდა ბუგეულის ხიდზე და იყრიდა თავს „ჩორჯოს“ დუქნებთან, სადაც გზის პირას ჩამწკრივებულიყო რამდენიმე ასი ქალი და კაცი; ყველას უცინოდა სახე და დიდს აღტაცებაში იყვნენ. გააჩერეს მგოსნის ეტლი, გაჩერდით მახლობლებიც და გადმოვედით ეტლებიდან. გახდა ტაშის ცემა და მხიარულება; მიართვეს პურმარილი, თან მღვდელმა გიორგი სოხაძემ მიმართა მგოსანს „ძვირფასო მგოსანო, ქართველი ერის მშვენებავ, ბატონო აკაკი! დღეს მთელი რაჭველი ხალხი დღესასწაულობს რაჭაში თქვენს მობრძანებას, როგორც საუკეთესო მამულიშვილისას და თავის საყვარელ მგოსნისას. აღტაცებით გეგებება მისთვის, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე შესწირეთ ქართველ ერის კეთილდღეობას, მთელი რაჭა თაყვანსა გცემს მისთვის, რომ მშობელ ერს ერთგულად ამსახურებდი შენს მადლიანს ზეგარდმოცხებულს მგოსნურ ნიჭს. მისი გრძნობების და აზრების ასამაღლებლად გამუდმებით აჟღერებდით თქვენს უკვდავ ჩანგის მომხიბვლელ ზეციურ ჰანგებს. მისი ეროვნული ხელოვნების და საზოგადოდ მთელი მისი კულტურის გასამშვენებელ—ასაყვავებლად, მისთვის წინმსვლელობის გზის ფართოდ გასახსნელად დაუღალავად ეწეოდი საზოგადო მოღვაწეობის მძიმე უღელს და აი დღეს მთელი რაჭა მადლიერი თავის ღირსეული შვილის უხვისა და ნაყოფიერ მოღვაწეობისა, განსჭვალული თქვენდამი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულის წრფელი გრძნობებითა, აღფრთოვანებული მაღალ ადამიანურის ფიქრებით და მისწრაფებით თავს იყრის თქვენს გარშემო, დაფნის გვირგვინით ამკობს თქვენს სპეტაკ ჭაღარას და გუნდრუკს უკმევს თქვენს „სიმართლის მსახურს“ უკვდავ ჩანგურს. ვისურვებთ თქვენს დღეგრძელობას და სიცოცხლეს ასეთი მოღვაწეობისათვის და მასთან ერთად ვისურვებთ, რომ ქართველ ერს თავის საკეთილდღეოდ მრავალი წარმოეშვას თქვენებრ მსგავსი ნაყოფიერი მოღვაწე“.

მერმე მიჰმართა სამრევლო სკოლის **მასწავლებელმა:** „ბ. აკაკი! თუ კი ვინმესთვის სანეტარო წამს წარმოადგენს თქვენი პირისპირ ხილვა ამ ჩვენ პაწია კუთხეში, მით უმეტეს განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთათვის დღევანდელი ზეიმი, რადგან არა ერთხელ აღუფრთოვანებია თქვენი მახვილი კალმის ნაყოფს ჩვენი გული. ნაცვლად თქვენ მიერ მოძღვნილ სიამოვნებისა ამ რამდენიმე წლის წინად, როდესაც მადლიერი ერი იხდიდა 50 წლის იუბილეს, ჩვენ, სამრევლო სკოლის მასწავლებლები არ ჩამოვრჩით სხვას და ჩავებით საერთო ეროვნულ ფერხულში. თქვენის კალმის ნაწარმოებით უნდა აღვზარდოთ ჩვენ ნორჩი თაობა, ამიტომ გთხოვთ ნუ მოგვაკლებთ თქვენს მადლიან ლექსებს, რომ კიდევ და კიდევ ახალ-ახალი სხივი შევიტანოთ ხალხის გონებრივ სალაროში და მით მოძრაობაში მოვიყვანოთ, ჩვენი მიდუნებული ეროვნული ცხოვრება. იცოცხლე ჩვენდა საკეთილდღეოდ მრავალ ჟამიერ!“

სამრევლო სკოლის მოსწავლე შედგა მგოსნის ეტლის საფეხურზე და უთხრა ზეპირად ლექსი „სიმღერა მკის დროს“ მგოსანმა ხელი ჩამოართვა სიტყვების მთქმელთ და გადაკოცნა ყველანი, რის შემდეგ ეტლები დაიძრა, საზოგადოებამ დასძახა „ვაშა“, „აკაკის გაუმარჯოს“ და გავსწიეთ **წესში,** სადაც შუადღიდან უკვე მიგველოდა საზოგადოება. გზაზე შემოგვხვდნენ ურწერიდან მომავალნი ტურისტები, რომელთა ხელმძღვანელმა სიტყვა უთხრა მგოსანს. დღე და ღამე გაიყარა და შევედით **„ბარაკონის“** ტაძრის ეზოში, რომელიც აუშენებია და ეკუთნოდა **რაჭის ერისთავს როსტომს.** ქისკართან შეეგება მგოსანს რაჭის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ნ. ჩერნოვი და უთხრა მოკლე მისასალმებელი სიტყვა. ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით; თუმცა დაღამდა, მაგრამ კაცი კაცს კიდევ იცნობდა. მგოსანს მოართვეს სავარძელი, ჩასვეს შიგ და ასწიეს მაღლა, ტაშის ცემით და „გაუმარჯოს“ ძახილით შეიყვანეს ტაძარში, სადაც მღვდელმა ფ. გოცირიძემ სამშვიდობო პარაკლისი გადაიხადა. გალობდა ქართულ ძველებურ კილოზე მგალობელთა გუნდი; პარაკლისის შემდეგ **მღვდელმა გოცირიძემ** მიმართა შემდეგი მისასალმებელი სიტყვით: „განუსაზღვრელ მადლობას გიძღვნით, დიდებულო მგოსანო, და დაუღალავო მოღვაწევ, იმ აღფრთოვანებისათვის, რომელიც დღეს მზის შუქივით მოეფინა თქვენის მობრძანებით რაჭველების გულს. აღსრულდა ჩვენი დიდი ხნის ნატვრა, ვეღირსეთ და ვიხილეთ ჩვენი ჭირისა და ლხინის მლაღადებელი მოხუცი აკაკი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა დაბეჩავებული და გაღატაკებული ხალხის მოსარჩლეობაში. მიუხედავად მრავალგვარი დაბრკოლებებისა, შეუდრეკელად მიიწევდი წინ და მისწრაფოდი ერთხელ არჩეულ მიზნისაკენ. უფლისაგან ნაკურთხი თქვენი კალამი მტერს მახვილს სცემდა და მოყვარეს თვალს უხელდა... მოვესწრებით იმ დროსაც, ჩვენო სინათლის მომფენო, როდესაც თქვენი შრომა გაძლიერებულ ნაყოფს მოისხამს; უკვე ემჩნევა ქართველ ერს გამოღვიძება, გისრულდებათ წინასწარი განზრახვა და სიტყვები თქვენი: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და კვლავ იგი გაიღვიძებსო“. ხანგრძლივი იყოს თქვენი სიცოცხლე ჩვენი პატარა საქართველოს დიდო ვარსკვლავო, აკაკი!“

სიტყვის შემდეგ აკაკი მიიწვიეს ეკლესიის ეზოში მორთულ, და ნოხებით (ხალიჩებით) მფენილ ფანჩატურაში, გარშემო საზოგადოება დადგა და მოჰყვა სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა მასწავლებელმა გ. კვიტაშვილმა. „დიდებულო მგოსანო! თუმცა ციური მნათობი უკვე ჩაესვენა და თავის განმაცხოველებელ სხივებს ვეღარ უგზავნის ჩვენს სხეულს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს სულს ატკბობს პოეზიის სხივები, რომელნიც თქვენი მაღალი შუბლიდან გადმოანათებენ, შუქს უხვად გვფენენ და ათასნაირ გრძნობებს გულში გვიღვიძებენ. თქვენი პოეზია აღგვიძრავს გულში უტკბილესს გრძნობებს მამულის- და სამშობლო ენის სიყვარულისას; თქვენ ღაღადებთ იმისთანა დიად აზრებს, რომელნიც ჯერ განათლებულ ქვეყნებშიაც არ არიან განხორციელებულნი სრულად—ძმობა, ერთობა და სიყვარული, - აი ეს აწერია თქვენს დრომას და ამ წარწერას ჩვენც ვეტრფით. თქვენი პოეზია წარმოგვიდგენს იმ დროს, როდესაც ჩვენი გლეხობა ბატონ-ყმობის უღელში იყო გაბმული და ამ მავნებელ მოვლენას მედგრად დაუწყეთ თქვენ ბრძოლა თუ სიტყვით, თუ კალმით, თუ ცხოვრების მაგალითით და როდესაც ბატონ-ყმობა გაიყარა, თქვენმა ჩანგმა მხიარულად დააჟღერა იმერული ნანინა: „გაპუტულო გლეხის შვილი, შე პაწაწინაო, ეგრე ტკბილად უდარდელად რამ დაგაძინაო... გაიზრდები გენაცვალე თავისუფალიო, ბატონი ვერ შეგაწუხებს ვერ გაგტეხს ვალიო“ და სხვა... და განა მარტო ამ საგანს შეეხო თქვენი კალამი? არ დაგიტოვებიათ უყურადღებოდ არც ერთი მოვლენა, რომელსაც კი საზოგადო ხასიათი ჰქონდა და ერი მიჰყავდა კეთილდღეობისაკენ: ავიღოთ თუნდ ბანკების დაწყება, ან მადნეულობის წარმოება, ვაჭრობა-მრეწველობა ან და სწავლა-განათლების საქმე, ყველგან თქვენი შორს მჭვრეტელი ჭკუა და მახვილი ენა კეთილგონივრობის გზას გვირჩევდა—თითქოს გვეუბნებოდით: ქართველებო, გამოფხიზლდით, თორემ ადგილ-მამული ნელ-ნელა გეცლებათ ხელიდან. იშრომეთ ყველამ განურჩევლად წოდებისა, რადგანაც შრომა არის საფუძველი ადამიანის კეთილდღეობისა; მოჰკიდეთ ხელი მეურნეობას და ვაჭრობა-მრეწველობას, რომ სხვა ერებს მეტოქეობა გაუწიოთ და საკუთარი ეროვნული სიმდიდრე შეჰქმნათ... კარგად შეისწავლეთ სამშობლო ენა, თუ გინდათ ქართველად იწოდებოდეთ; ვინც უცხო ენებს და ჩვეულებებს ითვისებს და თავისას კი ივიწყებს, ის გადაგვარების მოსურნეა; ამისთანა კაცი კი მოგვაგონებს იმ უგუნურ თაგუნას, რომელმაც თაგვობა იუკადრისა და ჩიტობა ინატრა. ნატვრა აუსრულდა, თაგუნას ფრთები გამოესხა და მხიარულად ჰაერში გაისრიალა, მაგრამ იქ ჩიტებმა იუცხოეს, დაესივნენ, ჩაუნისკარტეს და თავპირ გასისხლიანებული გააგდეს; თაგუნა დაბრუნდა სოროში, მაგრამ ახლა თაგვებმაც აღარ მიიღეს; შერცხვენილი თაგუნა ამის შემდეგ დღისით ვერა ჩნდება და მხოლოდ ღამით დაფრინავს ხოლმე. ამ თაგუნას ჩვენ ვუწოდებთ ღამურას. „ნურავინ ისხამს სხვის ქურქსაო“—ამბობს გაუბედურებული თაგუნა—„და ნუ სცვლის თვისსა ენასაო, თორემ ბოლოს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა დენასაო“. შეისწავლეთ ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული, წარსულშია ჩვენი სიამაყე, ჩვენი აყვავების ხანა, იქ გვყავს იმისთანა დიდებული პირები, როგორიც არიან, დავით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი, ერეკლე მეფე და სხვანი. ეს დიდებული პირები და იმათი დრო გვამხნევებს და გვაძლევს იმედს, რომ ქართველებს კიდევ „მოელის ბრწყინვალე დრო“... ბევრს სხვას ამისთანას ხედავს გვიჩვენებთ თქვენ და ამით გვამაღლებთ სულით. თქვენ მუდამ იყავით დამცველი ქართველთა ინტერესებისა და არავის არ დაუთმობდით თუ ვინმე დააპირებდა ცილის წამებას, ან ჩირქის მოცხებას რომელიმე ისტორიული პირისას;—ყველა ასეთ შემთხვევებში თქვენ თავ-გამოდებით იბრძოდით და ამიტომ გეწოდებათ თქვენ თავდადებული მამულიშვილი. ქართველი ერი ყოველთვის იამაყებს იმითი, რომ ჰყავს თქვენისთანა საშობლოს დამცველი პირი... რა ბედნიერი იქნება ქართველი ერი, რომ თითო აკაკი ყოველთვის ჰყავდეს?! იცოცხლეთ, დიდებულო მოხუცო, ჩვენდა სანუგეშოდ მრავალჟამიერ“.

(შემდეგი იქნება)

**ლადო ბზვანელი.**

# ქუთაისის ამ-ბავი

მაგონდება პირველი სამვ სათათბიროს არჩევნები, როცა მეოთხე სათათბიროს არჩევნების სამზადისს ვუყურებ. თუ მაშინ ყველა შეცვლილი იყო არჩევნებით და გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ვინ როგორ მოქმედობდა, ვის რა შანსი ჰქონდა, ეხლა ყველა წრეები გულგრილად ეკიდებიან ამ საქმეს. საარჩევნო სამზადისს, ყოველ შემთხვევაში ჯერ არავინ შესდგომია, თუ მხედველობაში იმას არ მივიღებთ, რომ სადეპუტატო კანდიდატებს ასახელებენ. ამბობენ, რომ ზოგ-ზოგი წრეები შეუდგენ საარჩევნო აგიტაციას, მაგრამ ეს უფრო სახელით იქნება აგიტაცია და არა საქმით, რადგან აღარც ხალისი აქვს ვისმეს ამისა და არც ვაჟ-კაცობა, მეტადრე თუ იგი წრეები უკიდურეს მემარცხენეთ ეკუთვნიან.

რაც შეეხება კანდიდატებს, მათი რიცხვი მრავალია, თუ ქუთათურ მითქმა-მოთქმას დაეჯერება რამდენს დღეობით გამორკვეულად მარტო ის უნდა ჩაითვალოს, რომ თ-მა ვლადიმერ მიქელაძემ უკვე განაცხადა სურვილი კენჭის ყრისა დეპუტატობაზე რაც ჯერ განაცხადა დეპეშით თავად-აზნაურთა წინამძღოლის სახელზე და ამ ჟამად-კი იგი ქუთაისში იმყოფება და თავის დეპეშას ადასტურებს. მოგახსენებენ,—არც ის გარემოებაა ჭეშმარიტებას მოკლებული რომ ყოფილი დეპუტატი ევგ. გეგეჭკორი ყუთს დაიდგავსო. ამ ნაირად ეს ორი კანდიდატურა გამორკვეულია, ხოლო დანარჩენებზე კი ჯერ მითქმა-მოთქმაა და სხვა არაფერი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ რომ საადგილ-მამულო ბანკზე დარჩენილი მამულების ლიკვიდაცია ისეთის სიჩქარით მიდის თურმე, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაყიდულა ნახევარ მილიონის მამული ისე, რომ თუ ამ სისწრაფით წავიდა საქმე, მოსალოდნელია რომ ორ-სამ წელიწადში ბანკის საქმე ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგება და შეძლება მიეცემა თავის მოგება საზოგადო საჭიროებას მოახმაროს. ამავე ბანკზე დარჩენილ მამულების განაღდების საქმე, ბანკში მიღებულ ცნობებით, ისე მიდის თურმე, რომ ესრედ წოდებულ დასაბრუნებელ ხარჯსაც ცოტაოდნად ანაღდებს და პირველი იანვრის 1290 ათას მანეთს 255 ათას მანეთამდი დაუწევია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ ვაჭრობაზე დარჩენილი მამულები სულ გაუნაღდებია ბანკს უზარალოდ, ისე რომ ბანკი ამ მხრითაც უზრუნველ ყოფილად უნდა ჩაითვალოს ახალი ზარალისაგან.

# ექსკურსანტები.

ზაფხულში მრავლად ეფინებიან კავკასიის არე-მარეს ახალგაზდა მოსეირნე მოგზაურები, რომელთაც ჩვენმა ხალხმა „ნაზუშრები“ დაარქვა. ამ სახელწოდების მიზეზი და განმარტება რომ ჰკითხოთ, გიპასუხებენ: „მხოლოდ უდედ-მამო და უპატრონო ახალგაზდებს შეუძლიათ ასე თავ-აღებულად და უგზო-უკვლოდ ხეტიალი დედამიწის ზურგზეო“.

ხალხს გონივრული ალღო იმდენად შესწევს, რომ კარგად შეიგნო ხანგრძლივი სეირნობის ფუჭი არარაობა.

კარგად ვიცით ყველამ, რომ შორის ქვეყნებიდან აუარებელი მოსეირნე ხალხი აწყდება ზაფხულობით ჩვენ ქვეყანას. უმრავლესად ახალგაზდა მოსწავლენი არიან, რომელ-

ნიც ხშირად ერთი კვირიდან დაწყებული ერთ თვეზე მეტს სეირნობენ თვალ-უწვდენ რუსეთის სივრცეზე.

სადაც ჯერ არს, ყოველ ნაირად ხელს უწყობენ ახალგაზდების სეირნობას: გზის ფასს ძალიან უმცირებენ, ბინებს აძლევენ, გამოცდილ ხელმძღვანელ - მასწავლებლებს გააყოლებენ ხოლმე და სხ. და სხ.

დავფიქრდი ყველა ამაზე და სწორე მოგახსენოთ, ექვმა ამიტანა და შემეშინდა ამგვარი დახმარებისა კიდევაც. გამახსენდა ძველ რომაელების სიტყვები დანაელების შესახებ: ახალ-ახალი და ცხელ-ცხელი ხაჭაპურებიც რომ მოჰქონდეს თქვენთან ძღვნად, მაინც ნუ ენდობით, მოერიდეთ ამ ხალხსაო.

ახალგაზდობის სეირნობას ყოველნაირად ხელს უწყობენ სადაც ჯერ არს, რადგან სეირნობის დროს ადამიანის ტვინს „მავნე" ფიქრებისათვის არა სცალიან: ყოველ წუთს იქით-აქეთ თვალები უნდა აცეცოს, რომ თვალთა-ხედვის ასპარეზიდან არაფერი გამოეპაროს. მგზავრობს და მგზავრობს დაუსრულებლად ახალგაზდა ადამიანი და ყოველ წუთს ახალ-ახალი სანახავი გადაეშლება ხოლმე თვალ-წინ. ქალაქები, სოფლები, ველ-მინდვრები, მთები, ჭალები, ზღვები და მდინარეები, სხვა და სხვა ტომის ხალხი, სხვა და სხვა ცხოველები,—ყველა ეს ელვის უსწრაფეს მიჰქრის ახალგაზდა ადამიანის თვალ-წინ, ერთმანეთში ირევა, ნორჩ, გამოუცდელ ტვინში იხლართება და ბოლოს და ბოლოს მოუნელებელ სურათების დომხალად იქცევა.

აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ—ადამიანს ხუთი გრძნობა აქვს: თვალის-ჩინი, ყურთა-სმენა, ცხვირის ყნოსვა, ენის გემოვნება და ხელის ან კანის შეხება, ამავე დროს ადამიანს აქვს მხოლოდ ერთი ტვინი, ერთი მსჯელობის უნარი. ხუთი გრძნობა — ერთ გვარი ფანჯრებია, გახსნილი გზებია, რომელთა საშუალებით გარეშე ქვეყნიდან ჩვენ ტვინს საზრდო ეძლევა. ეს საზრდო-საკვები ტვინის ძალ-ღონის შესაფერი, მონელების უნართან შეთანხმებული უნდა იყოს, თორემ ეს უკანასკნელი უბედურ მდგომარეობაში ჩავარდება, საცოდავად გამწარდება.

წარმოიდგინეთ, რომ დღე-დღეზე, კვირა-კვირაზე, თვე-თვეზე, ზედიზედ დაუსრულებლად ახალ-ახალი სანახავი, ახალ-ახალი საზრდო შემოსდის ხუთი გრძნობა-საშუალებით, ამ ერთად-ერთ ტვინს.

დაატანეთ ძალა თქვენ საკუთარ ტვინს მკითხველო, და გადაჭარბებული კვებისაგან ამ გამწარებულ ტვინის მდგომარეობა გაითვალისწინეთ. იგი უეჭველად უნდა გაჩერდეს, უნდა გამოშტერდეს და თავისი ადგილი თვალს, ცხვირს, ყურს, ენას და ხელს უნდა თაუთმოს.

ფრანგები ამბობენ: ყოველნაირი უკიდურესობა ბოლოს და ბოლოს ერთმანეთს შეხვდებაო. ამ მხრივ მეტის კვებისაგან გამწარებულ-დაჩლუნგებული ტვინი უჭმელობისაგან გაძვალ-ტყავებულ ტვინის მდგომარეობას უდრის: ერთი მეტი სიმსუქნისაგან, მეორე კი—მეტი გამხდრობისაგან უღონო და უძრავია.

დავით კლდიაშვილის საუცხოო მოთხრობაში—„სამანიშვილის დედინაცვალში" ღარიბი აზნაური პლატონ სამანიშვილი ახირებულ მამისათვის საცოლოს საძებრად გაუდგება, მაგრამ, თუმც ღარიბს, მაინც აზნაურს, ფეხით მგზავრობის რცხვენია საცოდავად გამხდარ-დაღლეულ „ჯახრიკა" ცხენს გამოართმევს თავის მეზობელს, გზაში „სირცხვილისათვის მიჰყავს" და ზედ მხოლოდ მაშინ ჯდება, როცა გზაზე მომავალს ვინმე უცნობს ან ნაცნობს ჰნახავს.

რაც პლატონ სამანიშვილის ცხენს მეტი გამხდრობისაგან დაემართა, ის ხანგრძლივად მოხეტიალე ადამიანის ტვინს მეტი სიმსუქნისაგან ემართება: იმას მოძრაობის, მუშაობის უნარი ეკარგება და ბოლოს და ბოლოს პატრონს იგი თითქო „სირცხვილისათვის მიჰყავს", საცოდავად მიჩანჩალებს და როცა ადამიანს დაინახავს, ზედ შესკუპდება და, რომ როგორმე აამოძრავოს, ყოველნაირად უჩხიკინებს; მაგრამ ყოველივე ამაოდ.

თუ ჩემი ნათქვამი არ გჯერათ, ხანგრძლივ და უმიზნოდ ნამგზავრ ადამიანს დაელაპარაკეთ, იმ ახალგაზდა ხალხში გაერიეთ, რომელიც ზაფხულობით ჩვენი ქვეყნის არემარეს მრავლად ეფინება,—და, უეჭველია, დარწმუნდებით.

ყველასაგან რაღაც უეჭველ და უძრავ ჭეშმარიტებად აღიარებულია, რომ მგზავრობა, სხვა და სხვა ქვეყნების ნახვა ადამიანს გონებას უხსნის, ანვითარებს, ანათლებს და სხვა და სხ.

ეს რომ ასე იყოს, გულითა და გონებით ყველაზე უფრო განათლებული მდიდარი ხალხი იქნებოდა, რადგან თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ისინი დედამიწის თვალ-უწვდენ ზურგზე ხეტიალს ანდომებენ.

ჩვენ კი კარგად ვიცით, რომ მდიდარი ხალხი საზოგადოდ გულითა და გონებით მეტის მეტად უძრავია.

ეს იმიტომ მოსდის, რომ მდიდარი ადამიანი, მგზავრობს იგი თუ ერთ ადგილას ცხოვრობს სიმდიდრის წყალობით მხოლოდ ცხოვრების ზედა პირზე ტივტივებს. იმან არ იცის, გამოცდილებით, ცხოვრების ქიდილში ჩაბმით არ შეუსწავლია, თუ რა ჩარხზე ტრიალობს ეს წუთი სოფელი. სიმდიდრე ან უშრომლად ნაანდერძევი აქვს; ან, თუ უშრომია, მხოლოდ ერთი ვიწრო უსინათლო გზა ჰქონდა არჩეული ცხოვრებაში —სიმდიდრისაკენ მიმავალი და არც სურვილი, არც ხალისი ჰქონდა რთული და დიად ცხოვრების მთელ სიღრმე-სიგანეს გასცნობოდა.

ბოლოს და ბოლოს, როგორც ლამაზი იალქნებით შემკულ და ზღვის ზედა-პირზე მსუბუქად მსრბოლ კოხტა ნავს არ შეუძლია ზღვის სიღრმე განსჭვრიტოს და შიგ მდუღარე და მოფუსფუსე ცხოვრება გაითვალისწინოს, ისე ლამაზი სამკაულით მოსილ და ცხოვრების ზედა-პირზე მსუბუქად მოძრავ კოხტა მდიდარ ადამიანს არ ძალუძს ცხოვრების სიღრმე განსჭვრიტოს და შეიგნოს, თუ ამ ცხოვრებას საფუძვლად რა კანონი უდევს.

მდიდარმა კაცმა, თავის გასამართლებლად, თვალთმაქცი მოსაზრებით გარედან მოავარაყა თავისი უაზრო ხეტიალი დედამიწის ზურგზე—გულითა და გონებით განათლება მწყურიაო.

მოსწავლე, უმრავლესად ღარიბი ხალხიც იმას ჰბაძავს და სრულებით შეგნებული არა აქვს, რომ გულისა და გონების განათლება—დინჯი, მეტის მეტად სერიოზული საქმეა და თვალ-წინ ყოველთვის გარკვეული მიზანი უნდა ჰქონდეს.

როცა ადამიანი ფიქრობს, ვაგონის ფანჯარაში თავს გამოვჰყოფ და რასაც დავინახავ, იმით გავნათლდებიო, ნამდვილ ბავშურად მსჯელობს და მოგვაგონებს იმ კაცს, რომელმაც შემდეგი ამოცანით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: როდის რჩება ადამიანი უთავოდ თავის ოთახშიო?

ვერავინ ვერ გამოიცნო და ავტორმა გამარჯვებულად გამოაცხადა: როცა თავს ფანჯარაში გამოჰყოფსო.

(დასასრული იქნება)

ილია ნაკაშიძე.

## ქიზიყის ვითარება

(თვალით ნახული)

ქიზიყს ყოველ ზაფხულს ვინახულებ ხოლმე. ქიზიყელთა მხნეობა და შრომის სიყვარული რაღაც სხვანაირ სიამოვნებას მაგრძნობინებს... წელს ერთმა გარემოებამ მიიქცია ჩემი ყურადღება: მრავალ ოჯახიშვილს მიუყიდ-მოუყიდია ცხვარ-ძროხა და ვაჭრობისათვის მოუკიდია ხელი. ქიზიყის გული ს. ქვემო-მაჩხაანი ქიზიყელთა სავაჭრო ქალაქად ქცეულა. სამაგიეროდ ყველაზე ადრე დაარსებული მაჩხაანის თეატრის სახურავი სადღაც გაფრენილა და ცის ქვეშ დარჩენილა. ამ მხრივ ს. ბოდბის ხევს უჯობებია ქიზიყის დედა სოფლისათვის და შუა სოფელში გამოუჭიმნია თეატრის მშვენიერი ქვითკირის შენობა, სადაც ზაფხულს გარდა სხვა დროსაც იმართება წარმოდგენები.

შევიარე წმ. ნინოს მონასტერში. აქ ბევრი რამე ვნახე და გავიგონე საყურადღებო, მაგრამ ამ ხელად მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩერო ერთ მოვლენაზე. 6 აგვისტოს, როდესაც მე მონასტერში მიველ, ნაადრევი წირვის შემდეგ, აზიარარა მოლოზნები და რამდენიმე სხვა სოფლიდან მოსულნი, ბოდბის სამონასტრო ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი მიხ. ნაცვლიშვილი გამოეთხოვა მოლოზნებს. წინამძღვარის გამოსამშვიდობელმა გრძნობიერმა სიტყვამ ისე იმოქმედა მოლოზნებზე, რომ სიტყვის წარმოთქმის დროსვე ასტეხეს ტირილი და ძალიან ბევრნი შერეც განაგრძობდნენ ტირილს... ყველანი გარს ევლებოდნენ მოძღვარს და სცდილობდნენ უკანასკნელად რითიმე ესიამოვნებინათ წასასვლელად მომზადებულ მღვდლისა და მისი ცოლ-შვილისთვის. ხოლო წასვლის დროს მონასტერში მყოფმა ყველა მოლოზნებმა კარგა შორს მანძილზე გააცილეს მღვდელი და თვალ-ცრემლიანები, გულ-დაწყვეტილები დაბრუნდნენ მონასტერში.

მოგზაური.

## ჩემთან მოდი!...

ჩემთან მოდი!.. ჩემთან მოდი, და ეგ თავი ნაზ-ნარნარი
ამ ჩემს მთა-მკერდს, უხილავო, ზედ დააყრდნე, დააკარი!..
მკერდი ჩემი ზღვის ტალღაა, ეგ თავი კი კოხტა გემი,
თვით საფლავშიც შენ ჩემი ხარ, საბოლოოდ ჩემი... ჩემი!..

აქაურ ცას სიკვდილის ქვა
ვერ ჩაჰქოლავს, ვერ მოღრუბლავს,
აქ ბუნების ცელქი სუნთქვა
ლაწვზე ყვავილს აგიფურცლავს;

ოტარიდი, ვარსკვლავთ საბანს
გადმოგხურავს სულით, გულით,
მზე ნიკაპის ხალს ჩამოგბანს
ყვავილების ნაკადულით;

მთის ჩანჩქერი სხივთა რგოლებს
ფერხთ გაგიშლის ათას ფერად,
ნამი ნერვებს აგითრთოლებს
სიოს კოცნის დასაჭერად!..

ჩემთან მოდი... და ამ გულში დასდე ბინა საგანგებოთ,
რომ რიჟრაჟზე მზის ამოსვლას ერთის გრძნობით მივეგებოთ!
შენ წვეთი ხარ ჩემის ცრემლის ზღვაზე ჰანგად დანაცემი,
თვით საფლავშიც შენ ჩემი ხარ, საბოლოოდ ჩემი... ჩემი!..

ბორჯომი. ი. გრიშაშვილი.

## † ნ. თ. ანენსკი.

(18·4 წ.—1912—წ.)

26 ივლისს გარდაიცვალა ნიკოლოზ თევდორეს ძე ანენსკი. იგი იყო ერთი იმათგანი, რომელნიც გატაცებულნი იყვნენ განმანთავისუფლებელ იდეებით და დაუღალავად ცდილობდნენ ცხოვრებაში მის განხორციელებას. თუმცა სდევნიდნენ, მაგრამ მას სიკვდილამდის არ უღალატნია ამ აზრისათვის. მხცოვანი კალმოსანი მონაწილეობას იღებდა თითქმის ყველა საზოგადო ორგანიზაციებში. ნიკოლოზ თევდორეს ძემ დაიმსახურა საერთო სიმპატია არამც თუ მეგობრებ-ამხანაგებისა, არამედ მოწინააღმდეგებისაც თავისი საკვირველის ტაქტით და ყურმახვილობით ეთიკის საკითხებში, უკანასკნელ ხანს ანენსკი ითვლებოდა საუკეთესო მუშაკად იმ იდეიურ ჯგუფისა, რომლის მეთაურადაც ვ. გ. კოროლენკოა—და რომელიც ხელმძღვანელობს საუკეთესო რუსულ ჟურნალს „რუსკოე ბოგატსტვო"-ს.

ნ. თ. საკულტურო-განმანათლებელ მოღვაწეობაში იმდენად მონაწილეობას არ იღებდა. მისმა ბიოგრაფიამ უნდა მიიზიდოს ყურადღება იმ პირთა, რომელთაც აინტერესებთ სწავლა-აღზრდის საკითხები. ჩვენი უიდეიო დროს, როდესაც კაცები კი არა კაცუნები ლა სჩანან, როდესაც თან და თან კლებულობს ნამდვილ ეგრედ წოდებულ „ნაროდნიკთა" რიცხვი, ნამდვილ მებრძოლის ყოფა-ცხოვრების გაცნობა სასარგებლოდ მოქმედებს კაცზე. გამოჩენილ მხედართ-მთავართა ბიოგრაფიები ამხნევებს ყოველ მეომარს, გულში უღვიძებს სამხედრო ღირსების უმწიკვლოდ დაცვის სურვილს.

ნ. თ. ანენსკისებურ განმანთავისუფლებელ მოძრაობის წინამძღოლთა მაგალითებით გატაცებული ახალგაზდობა აღარ ჩაეფლობა იმ გამათახსირებელ ჭაობში, რომელსაც კარიერიზმი ეწოდება. ძველ მოღვაწეთა მცირე რიცხვი თან და თან გაივსება ახალ-ახალი ძალებით და მომავალი ახალთაობას ზნეობრივი სიფაქიზე და შეუდრეკელობა გაუჯდება ძვალსა და რბილში.

(„შ. იჟ.").

## სხვა და სხვა ამბავი

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი პოკროვსკი, თავის ნების წინააღმდეგ, მინისტრმა ხარკოვში გადაიყვანა. ის ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის ავტონომიას, რადგანაც ჩვეულებრივად პროფესორს ირჩევს ხოლმე პროფესორთა საბჭო. ამიტომ პოკროვსკი მინისტრის განკარგულებას არ დაემორჩილა და სამსახურს სრულიად თავი დაანება.

როგორც ხმა დადის, აზრათა აქვთ კვლავ განაახლონ ერთხანად თითქოს მომავალი პროექტი ბეჭვდითი სიტყვის შესახებ თანახმად ამ პროექტისა პასუხისმგებელი უნდა იყოს ოფიციალურ რედაქტორის გარდა, ფაქტიური რედაქტორი, გამომცემელი, მესტამბეც კი. იმედი აქვთ, რომ ამნაირს პროექტს მეოთხე სათათბირო უსათუოდ მიიღებს.

**ბურცევის და აზეფის შეხვედრა.** „რუსკოე სლოვოს" კორესპონდენტს ნამდვილ წყაროებით გაუგია, რომ ბურცევს როგორღაც შეუტყვი აზეფის ბინა და უნახავს კიდეც. აზეფი თურმე იმალებოდა გერმანიის ერთ-ერთ სააგარაკო ადგილსა. ბურცევს ჯერ აზეფის ადრესი გაუგია. გაუგია აგრეთვე ვისი სახელით სცხოვრობდა იგი და გაუგზავნია წერილი: ნახვა მინდა თქვენი, ნურაფრისა გეშინიანთ, არას გავნებთო.

აზევს უპასუხნია, კარგიო, მეც ძალიან მსურს ჩემი საქმის ნამდვილ ვითარების გამოაშკარავებაო.

ბურცევი აზეფს შეხვედრია ხუთშაბათს, 2 აგვისტოს, მაინის ფრანკფურტში.

აზეფს ბურცევისათვის თავისი თავგადასავალი უამბნია. არწმუნებდა თურმე, რევოლუციას ვემსახურებოდი ერთგულად და ამ მხრით საშუალებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდიო.

აზეფი ძალიან ბევრ გამცემლობაში გამოტეხილა, მაგრამ თანაც უმტკიცებდა თურმე ბურცევს, ყველაფერი რევოლუციისათვის ჩავიდინე, სხვა საქმეები გადავარჩინეო. რუსის მთავრობა და პოლიცია სრულის ნდობით მეპყრობოდა და მხოლოდ ჩაჩკოვსკის ჰქონდა ეჭვიო.

ბოლოს აზეფს უთქვამს, ძალიან მსურს ჩემმა ნაამხანაგრებმა გამასამართლონ, მინდა მოცხებული ჩირქი მოვიშოროო. ეხლავე ვცხადებ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას დავემორჩილები და თუ სიკვდილი გადამიწყვიტეს, თითონ მოვიკლავ თავსაო.

ბურცევთან წასვლის წინ აზეფს ანდერძი დაუწერია და მერე ისე გამგზავრებულა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

11 აგვისტო.

### საზღვარ-გარედ

**ალბანელთა საქმე**

**სტამბოლი.** მთავრობის სიტყვით, ოსმალეთ ალბანელების შემდეგი მოთხოვნილებანი მიუღია: იმ ადგილებისათვის, სადაც არსებული კანონები ვერ გამოდგება, უნდა გამოიცეს განსაკუთრებული კანონები; რუმელიის ოლქის ახალგაზდანი სამხედრო ბეგარას, მშვიდობიანობის დროს, ევროპის ოსმალეთში მოიხდიან; ალბანელებს დაუბრუნებენ ყველა თოფს, ზოგიერთს გარდა; მოხელეებად დანიშნენ იმისთანებს, ვისაც ეცოდინებათ მკვიდრთა ენა და ადათ-ჩვეულებანი; მონასტერსა, უსკიუბსა და ყველა ქალაქში, სადაც კი 30 ათასი მცხოვრებია, უნდა დაარსდეს ლიცეები; ფული უნდა გაიდოს სასულიერო სკოლებისათვის; სკოლის გახსნის საქმე უნდა გაადვილდეს; დაბალ და საშუალო სასწავლებელში სწავლა უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენის საშუალებით; რაც შეიძლება მეტი რკინის გზა უნდა გაიყვანონ და შოსეები გასჭრან; მაჰმადიანებს განსაკუთრებული მოსარჩლეობა უნდა გაუწიონ და დანგრეულ სახლების ფასი უნდა აუნაზღაურონ ალბანელებსა.

ხაკი-ფაშისა და საიდის სამართალში მიცემის მოთხოვნილება უარჰყვეს, რადგან ამ საკითხის განხილვა მხოლოდ პარლამენტს შეუძლიან.

**ჩინეთი**

**მუკდენი.** იუანშიკაიმ უარჰყო ჯაოერსუნის წინადადება სამხედრო ძალთა გაძლიერების თაობაზე.

მანჯურიაში მონარქისტებს თავი წამოუყვიათ და მოძრაობა გაუჩაღებიათ. მოძრაობა გაძლიერებულა განსაკუთრებით ციციკარისა და მუკდენის პროვინციაში, სადაც ადმინისტრაციაც მიმხრობია მონარქისტებს. პეკინის მთავრობა გადამჭრელ ნაბიჯის გადადგმისა ეფიქრება: ვაი თუ ჯარმა და ადმინისტრაციამ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიოსო.

**პეკინი.** თაონანფუს ახლო ჩინელებსა და მონგოლებს შეტაკება მოსვლიათ და ჩინეთის ჯარი დამარცხებულა. მთავრობა ჯარსა ჰგზავნის.

ჯანჯენფუს საქმის გამო საეროვნო ყრილობამ გადასწყვიტა პასუხი მოსთხოვოს მინისტრ-პრეზიდენტსა და სამხედრო მინისტრსა.

**რუსეთის კონსულისათვის სროლა**

**ყომაგაჩი.** 2 აგვისტოს, რუსის კონსულს კუზმინსკის მონგოლების თხოვნა შეუწყნარებია და წასულა კობდოს სიმაგრისაკენ, რომელიც გარემოცული ყოფილა. კონსულს წინდა-წინვე შეუტყობინებია ჩინეთის ამბანისათვის: ამა და ამ ადგილას ვიქნები, კაცი გამოგზავნე და მოვილაპარაკებთ, იქნება როგორმე მოვსპოთ თქვენსა და მონგოლებს შუა ჩამოვარდნილი შფოთი და სისხლის ღვრაო. კონსული თეთრის დროშით მიდიოდა და ამალა ახლდა. ჩინელებს უცბად სროლა აუტეხნიათ. კონსული არ დაზარალებულა.

**იტალიის განცხადება**

**რომი.** „სტეფანის სააგენტო" უარჰყოფს სტამბოლიდან გავრცელებულ ამბავს, ვითომ იტალია სამხედრო მოქმედებაზე ხელის აღებას აპირებდეს. იტალიამ სრულიად არა იცის რა სენატორ აზარიანის საიდუმლო მისიისაო.

**ოსმალეთი**

**სტამბოლი.** შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნეს—დანიშ-ბეი, ალბანელი და მომრიგებელთა კომისიის წევრი, სამართლის მინისტრად —სენატორი ხალილ-ბეი, კომიტეტის მომხრედ ნამყოფი.

უსკიუბიდან იუწყებიან, 7 აგვისტოს, 40 მირიდიტი ჩამოვიდა და განსაკუთრებული მოთხოვნილებანი წამოაყენაო.

**ჯარის გაგზავნა**

**უსკიუბი.** მეთერთმეტე დივიზია ჩერნოგორიის საზღვარზე გაჰგზავნეს. ჯარი კაპრულთან გროვდება, ბულგარეთის საზღვართანა. იქვე მისულა მეხუთე კორპუსის უფროსი.

**ბერტჰოლდის მოგზაურობის გამო**

**ვენა.** ბერტჰოლდის სინას წასვლის გამო „ნეიე-ფრაიე-პრესე" სწერს, ბერტჰოლდი პირველი არის ისეთი მინისტრი, რუმინიას რომ სწვევიაო. რუმინიის დამოკიდებულობას, რუსეთისათვის ბალკანეთში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, რანაირიც ჩრდილოეთ-დასავლეთში ბელგიისაო. ავსტრია-ჰუნგრეთის მეგობრობა რუმინიას დაიცავს იმ უბედურობისაგან, რანაირიც დაემართა პლევანოსთან დამარცხების შემდეგ, როდესაც იძულებული იყო ბესარაბია რუსეთისათვის დაეთმო, ბერტჰოლდმაო, დასძენს გაზეთი, უნდა განამტკიცოს ჩვენი და რუმინელთა მეგობრობაო.

**რუსეთი**

**ვაგონის გადაბრუნება**

**ოდესა.** ბალკოვის ქუჩაზე მგზავრებით სავსე ტრამვაის ვაგონი ლიანდაგს გადასცდა, გაქანებული ველარ შედგა და გადაბრუნდა. ვაგონი მთლად დაიმსხვრა, 18 მგზავრი ძლიერ დაშავდა.

**ლოთობის მოწინააღმდეგეთა ყრილობა**

**მოსკოვი.** ლოთობის მოწინააღმდეგეთა ყრილობამ გადასწყვიტა სამღვდელოებასა და ინტელიგენციის მოწოდებით მიჰმართოს და სთხოვოს დახმარება ლოთობასთან ბრძოლაზე—ქადაგებებითა და შესაფერ საზოგადოებათა დაარსებით. ყრილობას საჭიროდ უცვნია აგრეთვე შემოღება სასწავლებლებში ფხიზლობის მეცნიერებისა.

**გაზეთის დაჭერა**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს „ბირჟევია ვედომოსტის" 2 აგვისტოს ნომერი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ფელეტონი: „ჩემი ბავშვი". რედაქტორი როზანოვი სამართალში მისცეს.

**უბედურობის მიზეზის გამოკვლევა**

**პეტერბურგი.** სადგ. მირსკაიაში, კავკავის რკინის გზისაკენ, მოხელე გამოჰგზავნეს საფოსტო მატარებლის ლიანდაგზე გადავარდნის და ამის გამო დატრიალებულ უბედურობის მიზეზთა გამოსაკვლევად.

**ფრანცია**

**რუანი.** მფრინავი გრიგოლაშვილი ხუთი საჟენის სიმაღლიდან ჩამოვარდა. აპარატი გაფუჭდა, მფრინავს კი არა დაჰშავებია-რა.

**შატრი.** მფრინავი ფრანცი მენსს ახლო ჩამოვარდა. აპარატი დაშავდა. აპარატს რომ შეაკეთებენ, მფრინავი გაფრინდება დღეს, პარიზსა და მადრიდსა.

## ალბანეთის ამბები

**სტამბოლი.** იუსტიციის მინისტრმა ხილმი-ფაშამ სამსახურს თავი დაანება, რითაც ზომიერთა პარტია შეასუსტა.

იპეკაში ალბანელებმა ყველა ტუსაღები გაანთავისუფლეს. სალონიკაში მთავრობამ „თურქელის" რედაქცია გაჩხრიკა, წაიღო ხელთნაწერები და გაზეთი მიკეტა. სალონიკ-სტამბოლის რკინის გზის მე-52 კილომეტრზე ყუმბარა იპოვეს.

ოფიციალურად იუწყებიან, ალბანელები ველესის ახლოს ჯართან შეხვედრისათანავე გაიფანტნენო.

**რომი.** სააგენტოს კორესპონდენტს ატყობინებენ, იტალია გრაფ ბერტხოლდის წინადადებას დიდის სიფრთხილით ეკიდება, რადგან ალბანეთის ბედის გამოცვლისა ეშინიან და ყოყმანობს გამოტყდეს იტალიასთან შედარებით ოსმალეთის გაძლიერებაშიო.

**სალონიკი.** ახალგაზდა ოსმალები იხილავენ გრაფ ბერტხოლდის წინადადებას, როგორც ოსმალეთის ავტონომიურ პროვინციებად დაყოფისას. იმათი კომიტეტი ჰფიქრობს, ეს წინადადება ოფიცრებსა და ქვეყანას დაარწმუნებს ახალ მთავრობის პოლიტიკის უვარგისობაში—და მათთან ოსმალეთის ხსნაში. მაკედონიის ქრისტიანებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერტხოლდის წინადადებამ.

ალბანელებისა მხოლოდ პატარა ნაწილი დაიშალა, უმეტესობა კი უსკიუბში დარჩა და მთავრობისგან 30,000 მანეთს მოითხოვს.

**სტამბოლი.** სამინისტროს კრიზისი მოსალოდნელია, რადგან იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების პოსტის გაცვლა ძნელია. სენატის თავმჯდომარე ფერიდს მისთავაზეს შინაგან საქმეთა მინისტრის პორტფელი. მან უარი განაცხადა.

კერძო ცნობებით იტყობინებიან ალბანელების მოძრაობა არ ჩაქრალა, თუმცა მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადაო. ბევრ ადგილას ბერძნების ჯგუფები ალბანელებისას შეეჯახნენ.

## თეატრი და ხელოვნება

**ბორჯომი.** ბორჯომის თეატრში 7 მარიამობისთვეს ტფილისის დრამატიული დასის არტისტებმა პ. შოთაძისა, ი. ზარდალიშვილის, ი. გრიშაშვილის და სხვათა მონაწილეობით დაიდგა წარმოდგენა, რომლიდანაც შემოსავლის 50% პეტერბურგის ქართულ სათვისტომოს სასარგებლოდ გადიდო. ითამაშეს ორი მხიარული ვოდევილი „უბედური დებიუტი" და „ვაი ყობოს". შეუდარებელი ყობოს ი. ზარდალიშვილის მონაწილეობით; რაღა თქმა უნდა წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა, საზოგადოების სიცილს არ ჰქონდა დასასრული. 7 მარიამობისთვის საღამო, გარეშე სიმპატიური დანიშნულებისა, მით იყო კიდევ საყურადღებო, რომ ბ. ბარათაშვილის შესახებ ლექციას ჰკითხულობდა ჩვენი ნიჭიერი ლექტორი გრ. რობაქიძე. ლექცია იგი აღფრთოვანებით წაკითხული გულდასმით იქნა მოსმენილი და გათავებისას ლექტორი დაჯილდოვებული ურიცხვ ტაშის ცემითა.

მესამე ნაწილს საღამოსას შეადგენდა დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ: ი. გრიშაშვილი, ს. აბაშელი, ლ. ახობაძე და ვ. გორგაძე. პირველად საკუთარის ლექსით გამოვიდა ვ. გორგაძე; ლექსის ღირსებას აკრთობდა უხერხული დეკლამაცია. ლ. ახობაძე კარგი დეკლამატორი გამოდგა, მეტადრე ბაჩანასა და ვაჟას ლექსები მის პირით თავისებურობას არა ჰკარგავს. რაც შეეხება ს. აბაშელს იგი ბორჯომის საზოგადოების წინაშე პირველად გამოდის, საუცხოო ლექსი ბევრს ჰკარგავდა გაუბედავად წაკითხვისაგან; პოეტი მორცხვობდა. დასასრულ გამოვიდა ი. გრიშაშვილი, რომლის ლექსებს მისივე სახეში ღირსეული დეკლამატორი ჰყავს. საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა და გრიშაშვილი იძულებული იყო ათოდ ლექსი წაეკითხა; მოეწონათ განსაკუთრებით „ოლ-ოლ".

მრავლად შეკრეფილი საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

დასი მიდის ახალციხეს, შემდგომ აბასთუმანს.

ვლადი.

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) სოფელ დილმის მცხოვრებელმა ეფემია გრიგოლის ასულმა **გიორგიევმა** სადაფით მოჭედილი ხის ჯვარი.

2) სოფ. დილმის მცხოვრებელმა დარია მიხეილის ასულმა **ჭეიძემ**: თუშ-ფალანგი თიხისა.

3) ქაიხოსრო დავითის ძემ **ავალიშვილმა**: 23 სხვა და სხვა დოკუმენტი.

4) ქაიხოსრო დავითის ძემ **ავალიშვილმა**: 2 დოკუმენტი.

5) მღვდელმა ივანე დიმიტრის ძემ **ახმეტელაშვილმა**: თიხის ტოლჩა ს. კარდანახის მიწაში ნაპოვნი.

6) ქართ. გიმნაზიის მასწავლებელმა ნიკო **ახმეტელაშვილმა**: თორმეტი სიგელი.

7) ბატონმა **მეფერტმა**: 1) „Альбомъ картинной галлерей Кавказскаго Военно-Историческаго Музея, ორ წიგნად და ბ) Историческій очеркъ о регаліяхъ и знакахъ отличія Русской Арміи, I და II ტ.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## განაჩენი

1912 წელსა, მკათათვის 28-სა დღესა სამედიატორო სასამართლომ, რომელსაც შეადგენდნენ თავმჯდომარე ლევ კარლოსის ძე ზისერმანი, წევრნი თავადი ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი და ლევ იაკოფის ძე ზაქტრეგერი, აწონ-დაწონა რა საქმე აჯიმამუდოვისა, კახიძისა და მამინაიშვილისა, დასკვნა, რომ ბ. აჯიმამუდოვს არავითარი საბუთი არ მიუცია მაზედ ძალის მოხმარებისა და არაფრით არ გამოუწვევია თავისი მათგან შეურაცხყოფა; წინააღმდეგ, ძალიან კარგა ეჭირა თავი სამასკარადო საღამოზე. ამასთანავე სასამართლო სცნობს, რომ ქცევა ბ.ბ. კახიძესი დ მამინაიშვილისა აიხსნება საღამოს წინა დღეებში გავრცელებული ხმების ზე-გავლენით, რომელიც აბოროტებდა და შეურაცხყოფას აყენებდა მათ, როგორც საზოგადო მოღვაწეებს. ეს მათი სულიერი მდგომარეობა უფრო გაუარესდა სამასკარადო დღეს, რომლის შედეგიც იყო საქციელი ბ. ბ. კახიძისა და მამინაიშვილისა. საქციელი ყოვლად შეუსაბამო მათის ხასიათისა და რომელსაც ისინი დამშვიდებულ მდგომარეობაში არა და არ ჩაიდენდნენ. იღებს რა მხედველობაში ზემორე მოყვანილ საპატიო საბუთს და მასთანავე სჯერა-რა, რომ ყოველმა უმიზეზოდ შეურაცხმყოფელმა უნდა ბოდიში მოიხადოს შეურაცხყოფილის წინაშე, სასამართლომ განაჩინა: დაკმაყოფილდეს „მცირედით“ და აიძულოს ბ. ბ. კახიძე და მამინაიშვილი ბოდიში მოიხადონ ბ. აჯიმამუდოვის წინაშე. თანახმად მედიატორეთა ჩაწერილობისა, განაჩენი ესე უნდა დაიბეჭდოს „სახალხო გაზეთში“ და „ტფილისის ფურცელში“ მოაწერეს ხელი: თავმჯდომარე ლევ კარლოსის ძემ ზისერმანმა და ლევ იაკოფის ძემ ზაქტრეგერმა. თანახმა არ გახდა განაჩენისა თავადი ალექსანდრე რევაზის ძე ვახვახიშვილი. განაჩენი ესე ორთავე მხარეს გამოეცხადა, რაზედაც თავისი საკუთარი ხელი უწერიათ *).

*) ვბეჭდავთ ყოვლად უცვლელად. **რედ.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: სააგარაკო მატ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. ... ს. 40 წ.

**მცხეთიდან: სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111 ღამ. 8 ს. 33 წ.

## გემების მიმოსვლა

### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა; ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## განცხადებანი


### ქირავდება

**ქართულ გიმნაზიის გვერდით**

**5 ოთახი**

ზემო სართულში: შუშაბანდიანი, განიერი აივნები, წყალი და ყოველივე მოწყობილობა. სახლი **გრ. ყიფშიძისა.** (1.1442.1)

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის**

### საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—3)

### სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ მიკირტუმოვი.** (თ. 1037.48)

### სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ბლაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ საათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.** (0—1253—93)

### ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანუარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში**

მუხრანის ქ., № 2. ყოველ ნაირი ფეხსაცმ. საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.



(25.549.12)

### ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

### ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. აველტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1078.115)

### ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—29)

### გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება**

### ნ. შიუკაშვილის პიესა „მემკვიდრეობა“,

დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

### არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | 65 კ. |
| IV „ | „წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | 85 კ. |

### საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

**თევზის მრეწველნი**

### ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მიიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,**

**გირვანქა 1 მ. 60 კ.**

(წ.1131.229)

**ხელოვნურად შეზავებული**

### სამკურნალო და ხილეულოვის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ.სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

**ქარხნები იმყოფება: ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

(25.1407.5)

**ბაღი „ედემი“ ვერაზე**

მომხიბლავი, მოჩქრიალე ჩანჩქერებისა და ფოთოლთა შრიალის გამო, აქ ყოველთვის ბაღში მუდამ გრილა და ჰერიც სუფთაა. უკრავს უნგრული ქალ-ვაჟთა სიმფონიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბაროზით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. სადილები ქართული და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისაღეში თავდებნი ვართ. **ტელეფ. № 296.**

სრულის პატივისცემით **კ. ბაქრაძე.**

(25.1344.23)

### თ. მთავრიშვილისა

**და ამხ. წიგნის მაღაზია** ქუთაისში,

ამ წლის აგვისტოს

15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1416.4)

### საკანცელარიო მაღაზია დ. და კ. ოცხელებისა,

ქუთაისში,

ამა წლის აგვისტოს

15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1415.4)

**დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად**

### თ. მთავრიშვილისა და ამხ წიგნის მაღაზ ის ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაქიძის მიერ, ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზი.
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაური.

(8.1417.4)

### თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზია

ქუთაისში

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძის**

### „ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“.

**ტომი მეორე.** აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღებული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას. (8.1418.4)

### იმერული შამპანიური ღვინოები,

### ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა ქუთაისში,

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სჯგასტრონომიო მაღაზიაში და
2) მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.1166.27)

### ე. ა. ცატუროვის საწყობში

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

ფირმა არსებობს 1869 წლიდან

**იყიდება**

### ნავთის სახურებელი ინვერტის ფარნები „იგა“,



გარედ გასანათებლად 200, 1100 და 1800 სანთლის სინათლისა, ოთახში 200 და 300 სანთლის სინათლისა ეწინააღმდეგება: ქარბუქს, წვიმას, ქარს, თოვლსა და ყინვას. 1100 და 1800 სანთლის სინათლიანი „იგა“-ს ფარნები ავტომატიურად ინთება, უპატრუქოა მოქმედობს, არ საჭიროებს მავთულებს და ტუმბოს. საათში ნავთი უნდება: 200 სანთლის სინათლიანს 25 მისხალი.
1100 „ „ 32 „
1800 „ „ 80 „

სრულიად უბრალო და მაგარი კონსტრუქციისაა, და ამიტომ ფანრის ნაწილებს **გამოცვლა არა სჭირდება. სრულის თავდებობით**, რომ ფარნები კარგად იმუშავებენ. ერთი წლის განმავლობაში **გაფუჭებულ ნაწილების უფასოდ გამოცვლა.** ვურჩევთ ქუჩებისა, სახლებისა, ეზოებისა, საწყობებისა, ყაზარმებისა და ფორტების გასანათებლად და სხვა. ერთის წლის განმავლობაში **უფასოდ გამოვცვლით გაფუჭებულ ნაწილებს.**

**ფასები ძლიერ ხელმისაწვდომია.**

**ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიასა, სპარსეთსა და ოსმალეთში**

**საწყობი ე. ა. ცატუროვისა, ტფილისში.**

აქვე შეიძლება შეკვეთა ელექტრონის განათების მოწყობისა, დიდის შიგ რჩევით **საელექტრონო არმატურისა;** შეკვეთილ საქმეს ასრულებენ სწრაფად და საუკეთესოდ. (10 1393.12)


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“